



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N09

2022 წლის 29 აპრილი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული
ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ.“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში თანახმად დანართისა;
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი


მიმოხილვა
2021 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის
ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

I. ბიუჯეტის შემოსავლების მიმოხილვა ძირითადი კატეგორიების მიხედვით

შემოსულობების დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	გადახრა +/- გეგმასთან
გადასახადები	17 249 000	18 570 354	1 321 354
ა) ქონების გადასახადი	3 700 000	4 599 893	899 893
ბ) დამატებული ღირებულების გადასახადი	13 549 000	13 970 460	421 460

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა გადასახადების ნაწილში შეადგენდა 17249000 ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 18 570 354 ლარი ანუ 1321354 ლარით მეტი; ცალკეული სახეების მიხედვით შემოსავლები ასე გადანაწილდა: შემოსავლის წლიური გეგმა ქონების გადასახადის სახეში სულ შეადგენდა 3 700 000 ლარს, ფაქტიურად შემოსავალმა შეადგინა 4599893 ლარი, შემოსავალი 899893 ლარით მეტი შემოვიდა. დამატებული ღირებულების გადასახადის სახეში წლიური გეგმა განისაზღვრა 13 549 000 ლარით, სულ წლიური ფაქტიური შემოსავალი შეადგენს 13970460 ლარს, წლიური გეგმის შესრულებაზე გადამეტება შეადგენს 421460 ლარს. სულ გადასახადების ნაწილში წლიური გეგმის შესრულების გადაჭარბება შეადგენს 1321353 ლარს.


საბიუჯეტო გადასახადების საერთო მოცულობაში შემოსავლის სახეების პროცენტული ოდენობა



სხვა შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტის წლიური გეგმა განისაზღვრა 3 473 900 ლარი, ფაქტიური შემოსავალი შეადგენს 3592226 ლარს, ფაქტიური შემოსავალი განისაზღვრა წლიური გეგმის მაჩვენებელზე 118389 ლარით მეტი. სხვა შემოსავლებს ცალკეული სახეების მიხედვით თუ განვიხილავთ შესრულების მაჩვენებლები სახეებში შემდეგნაირად გადანაწილდა:

შემოსულობების დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	გადახრა +/- გეგმასთან
სხვა შემოსავლები	3473900	3592289	118389
I. შემოსავლები საკუთრიბიდან	814960	718019	-96941
პროცენტები	232360	272342	39982
რენტა	582600	445676	-136924
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	320000	187926	-132074
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	262600	257750	-4850
I.I. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	455140	413401	-41739
ადმინისტრაციული გადასახდელები და მოსაკრებლები	370000	370005	5
სანებართვო მოსაკრებელი	120000	117372	-2628
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი		64	64
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	250000	252570	2570
შემოსავალი მომსახურების გაწვიდან	85140	43396	-41744
I.I.I. სანქციები (ჯარიმები, საურავები)	1 944000	2011840	67840
I.V. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	259800	449030	189230

სხვა შემოსავლების განაწილება სახეების მიხედვით



პროცენტები - დარიცხული პროცენტების სახეში დაიგეგმა 232360 ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 272342 ლარი, მაჩვენებლის შესრულების გადამეტებამ შეადგინა 39982 ლარი.

რენტა - სულ წლიური ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 582600 ლარი, ფაქტიური შემოსავლა შეადგენს 445676 ლარს, ანუ შესრულებას დააკლდა 136924 ლარი. მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის სახეში დაგეგმილი იყო 320000 ლარი, ფაქტიურად ბიუჯეტში შემოვიდა 187926 ლარი ანუ 132074 ლარით ნაკლები; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი,ქირავნობა და სხვა)გადაცემიდან სახეში დაიგეგმა 262600 ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 257750 ლარი, ანუ 4850 ლარით ნაკლები.

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელების წლიური გეგმა განისაზღვრა 45140 ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 413401 ლარი, შემოსავლებს დააკლდა 41739 ლარი. მათ შორის სანებართვო მოსაკრებლის სახეში დაიგეგმა 120000 ლარი, ფაქტიურად შემოსულია 117372 ლარი ანუ (-26280 ლარით ნაკლები, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახეში ფაქტიურად ბიუჯეტში შემოსულია 64 ლარი. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის სახეში დაგეგმილი იყო 250000 ლარით, ფაქტიურმა შემოსვლამ შეადგინა 252570 ლარი, ანუ 2570 ლარით მეტი. როგორც ცნობილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის 20 დადგენილების „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ შესაბამისად ზედამხედველობის სამსახური მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებას. 2021 წლის განმავლობაში სულ გაფორმებულია 1103 ხელშეკრულება, 2021 წლის გეგმა დაიგეგმა 2018-2020 წწ. ფაქტიურად შემოსული თანხებისა და ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან სახეში წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 85140 ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 43396 ლარი, ანუ დაგეგმილ მაჩვენებელზე (-41744) ლარით ნაკლები.

ჯარიმები სანქციები და საურავების მოსაკრებლის სახეში წლიური გეგმა განისაზღვრა სულ 1 944000 ლარით, ფაქტიურად სულ შემოსულია 2011840 ლარი ანუ 67840 ლარით მეტი .

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახეში დაგეგმილი 259800 ლარიდან შემოვიდა სულ 449030 ლარი (სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის შემოსავალზე სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით დაკისრებული პირგასამტეხლოდან.). ანუ წლიურ დაგეგმილზე 189230 ლარით მეტი.

არაფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 2339 ლარი, შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან.

როგორც წარმოდგენილი ანალიზით ირკვევა, წლის განმავლობაში ფაქტიურად მიღებული შემოსავლების მთლიან მოცულობაში საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებელი

შეადგენს შემოსავლების 83,8 პროცენტს, სხვა შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებელმა შეადგინა 16,2 პროცენტი.


გრანტები:

წლის განმავლობაში გრანტების სახით მიღებული ფაქტიური შემოსავალი 22 028 850 ლარი , წლიური გათვალისწინებული 29825993 ლართან მიმართებაში წლიური გეგმის 73,8%-ია.

- I. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი 7616593 ლარიდან ფაქტიურად მიღებულია 4979420 ლარი 65,4%.
- II. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 836000 ლარიდან ტრანსფერი ფაქტიურად მოთხოვნის შესაბამისად ჩამორიცხულია 588855 ლარი - 70,4%;
- III. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან 21373400 ლარიდან ფაქტიურად ჩამორიცხულია 16060576 ლარი --75,1%.
- IV. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულების „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტში კაპიტალური გრანტის სახით გამოყოფილი და ჩამორიცხულ იქნა 400 000 ლარი;

როგორც წარმოდგენილი ანალიზით ირკვევა, წლის განმავლობაში ფაქტიურად მიღებული შემოსულობების მთლიან მოცულობაში საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებელი შეადგენს შემოსავლების 83,8 პროცენტს, სხვა შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებელმა შეადგინა 16,2 პროცენტი .

შემოსავლების გადანაწილება მთლიან შემოსულობებში.




გადასახდელები: (თანახმად დანართისა)

2021 წელში დაზუსტებული ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებებზე გაწეული მთლიანი ხარჯები 44 398 436 ლარი წლიური დაზუსტებული გადასახდელების 83,4%. -ს შეადგენს.

2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ფულადი სახრების ნაშთი შედგენს 3 140 273 ლარს .

ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით



ა) გადასახდელი ბიუჯეტის ცალკეული სფეროების მიხედვით

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას მოხმარდა 5 267 427 ლარი, საერთო საბიუჯეტო ხარჯის 11,86%. ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაგეგმილი თანხების 92%. აღნიშნული სფეროს ხარჯები მოიცავს ვალთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯებსაც და მათ შორის მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით განხორციელებულ პროექტებზე სასახო წარმოქმნილ ვალდებულებების დაფარვის ხარჯებს, რაც ჯამურად აღნიშნული სფეროს ხარჯების 36,5 პროცენტს შეადგენს.

სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-610000ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 606262 ლარი.

მათ შორის:

ფუნქცი კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	შინაარსი	ხარჯი	შენიშვნა
7109	ბრძანება №01-06 38 2021 წლის 29 იანვარი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	79 150	სტიქიის შედეგად დაზარალებული 46 ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით
7109	ბრძანება №01-06 43 2021 წლის 02 თებერვალი	ერთჯერადი დახმარება	1 000,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ.ცეცხლაურში მცხოვრებ რომან შაინიძეს (პ/ნ 61004016696) აუცილებელი პირველადი მოხმარების საგნებისათვის საჭირო თანხა.
7109	ბრძანება №01-06 83 2021 წლის 10 თებერვალი	ერთჯერადი დახმარება	1 500,00	თანხა გამოეყო ქობულეთში მცხოვრებ ილია ხაბაზს (პ/ნ 61004024736) შვილის გიორგი ხაბაზის (პ/ნ 01950207253) მკურანლობის და რეაბილიტაციის პერიოდში თბილისში ბინის ქირის და ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვის მიზნით
7109	ბრძანება №01-06 103 2021 წლის 16 თებერვალი	ერთჯერადი დახმარება	400,00	თანხა გამოეყო სოფ. გვარაში მცხოვრებ მალხაზ შაინიძეს (პ/ნ 61004004909) შვილის ვახტანგ შაინიძისთვის

				(პ/ნ 01950156245) კოლოპლასტირის შეძენის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 138 2021 წლის 24 თებერვალი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	3 662,70	თანხა გამოეყო ხანძრის შედეგად დაზარალებულ ქობულეთი, მემედ აბაშიძის ქ. №20-ში მცხოვრებ მოქალაქე რობერტ ემინაძეს (პ/ნ 61004015920) 1262.70 ლარი და ორ მოქალაქეს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით 2400 ლარი
7109	ბრძანება №01-06 143 2021 წლის 24 თებერვალი	ერთჯერადი დახმარება	880,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, კომახიძის ქ. №32-ში მცხოვრებ ნატო კენჭაძეს (პ/ნ 61004051103) ადაპტირებული მრავალფუნქციური ეტლის შესაძენის მიზნით
7109	ბრძანება №01-06 160 2021 წლის 26 თებერვალი	ერთჯერადი დახმარება	300,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, ჯავახიშვილის ქუჩა №28 II ჩიხში მცხოვრებ ნინო მორჩილაძეს (პირ. 33001026181) ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.
7062	ბრძანება №01-06 186 2021 წლის 05 მარტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ოთახის აღდგენა გამაგრების სამუშაოები	3 403,50	თანხა გამოიყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სამუშაო ოთახის აღდგენა-გამაგრების მიზნით
7109	ბრძანება №01-06 189 2021 წლის 05 მარტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	3 750,00	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ორ ოჯახს დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის.
7109	ბრძანება №01-06 197 2021 წლის 10 მარტი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქობულეთში მცხოვრები მოქალაქე თამილა ბეჟანიძეს (პირ. № 61001087543) შვილის ნიკო შავიშვილის (პირ. №61950057271)

				მკურანლობის და რეაბილიტაციის პერიოდში თბილისში ბინის ქირის და ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 214 2021 წლის 15 მარტი	ერთჯერადი დახმარება	1 000,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ.ლელვაში მცხოვრებ მოქალაქე დარეჯან სტამბოლიშვილს (პ/ნ 61004027952) სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 221 2021 წლის 16 მარტი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	8 160,62	სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოთხი ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 227 2021 წლის 16 მარტი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქობულეთი სოფელ ციხისძირში მცხოვრებ მოქალაქე ლევან საგინაძეს (პ/ნ 61005001703) სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 251 2021 წლის 22 მარტი და ბრძანება №01-06 396 2021 წლის 23 აპრილი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	16 514,66	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ სოფ. ნაკაიძეებში მცხოვრები მოქალაქე ლიანა გაბუნიას (პ/ნ 61004071573) ოჯახის დახმარების მიზნით
7109	ბრძანება №01-06 255 2021 წლის 23 მარტი	ერთჯერადი დახმარება	1599,00	თანხა გამოეყო ქობულეთში მცხოვრებ მოქალაქე თორნიკე სალუქვაძეს (პ/ნ 61004068923) სამედიცინო კვლევებისთვის (ანალიზები) საჭირო თანხების დაფარვის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 281 2021 წლის 30 მარტი	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფელ ლელვაში მცხოვრებ მოქალაქე ნინო ჯაშს (პ/ნ 36601055059) შვილის ადა ჟიჟავაძის (პ/ნ 61650045104)

				მკურნალობისთვის საჭირო თანხების დაფარვის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 303 2021 წლის 02 აპრილი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	24 589	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ 7 ოჯახს დახმარების გაწევის მიზნით
7109	ბრძანება №01-06 342 2021 წლის 12 აპრილი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქარის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	5 128,24	თანხა გამოეყო ქარისშედეგად დაზარალებული 6 ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 381 2021 წლის 22 აპრილი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქ.ქობულეთი, კომახიდის ქუჩა №15 ბ. 7-ში მცხოვრები მოქალაქე მაყვალა ცქვიტიშვილს (პ/ნ 61004010832) რჩენისა და კომუნალური გადასახადების გადახდის მიზნით
7109	ბრძანება №01-06 384 2021 წლის 22 აპრილი	ერთჯერადი დახმარება	600,00	თანხა გამოეყო დაბა ჩაქვში, სოფ. გორგაძეებში მცხოვრები მოქალაქე ინგა თურმანიძეს (პ/ნ 61004041864) შვილის თათია ტაკიძის (პ/ნ 61904077254) მკურნალობის პერიოდში თბილისში ბინის ქირის და ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვის მიზნით
7011	ბრძანება №01-06 421 2021 წლის 28 აპრილი და ბრძანება 01-06/1070 27 სექტემბერი	დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები	24 500,00	თანხა გამოიყო დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად მომსახურების შესყიდვის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 422 2021 წლის 28 აპრილი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქ. ქობულეთი, კოსტავას ქუჩა № 58-ში მცხოვრები მოქალაქე ნანა ნოლაიდელის (პ/ნ 61004021834) მამამთილის

				ენვერ ნურიძის (პ/ნ 61004009183) პროთეზირებისთვის საჭირო თანხების დაფარვის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 435 2021 წლის 05 მაისი და ბრძანება №01-06 440 2021 წლის 07 მაისი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრისა და ქარის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	5 214,39	თანხა გამოეყო ხანძრისა და ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებულ 3 ოჯახს დახმარების მიზნით
7109	ბრძანება №01-06 436 2021 წლის 05 მაისი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	9 900,00	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით
7109	ბრძანება №01-06 486 2021 წლის 19 მაისი	ერთჯერადი დახმარება	1 000,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. ხუცუბანში მცხოვრებ ანზორ ვასაძეს (პ/ნ 61004011518) მკურნალობისა და რეაბილიტაციის პერიოდში თბილისში ბინის ქირის და ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 532 2021 წლის 01 ივნისი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	1 500,00	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ორი ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით
7109	ბრძანება №01-06 536 2021 წლის 01 ივნისი	ერთჯერადი დახმარება	1 000,00	თანხა გამოეყო ქობულეთი 9 აპრილის ქ. №7-ში მცხოვრებ ზაზა თხილაიშვილს (პ/ნ 61001017257) ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის მიზნით.

7109	ბრძანება №01-06 573 2021 წლის 10 ივნისი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქობულეთი სოფ. ხუცუბანში მცხოვრებ თამუნა კაიკაციშვილს (პ/ნ 61004024485) ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 591 2021 წლის 15 ივნისი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, ხაბაზის ქ. №6-ში მცხოვრები მოქალაქე ნაირა მახარაძეს (პ/ნ 61006061862) ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 604 2021 წლის 18 ივნისი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარება	6 970,71	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქე ასმათ ბოლქვაძეს (პ/ნ 61006055696)
7109	ბრძანება №01-06 632 2021 წლის 29 ივნისი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. საჩინოში მცხოვრებ მოქალაქე თემურ დავითაძეს (პ/ნ 61005004313) ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 656 2021 წლის 01 ივლისი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	300,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ.ჭახათში მცხოვრებ მოქალაქე თეონა მელაძეს პ/ნ 61004026247) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 704 2021 წლის 08 ივლისი	ერთჯერადი დახმარება	850,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. ხალაში მცხოვრებ მოქალაქე მალხაზ ლამპარაძეს (პ/ნ 61005001819)
7109	ბრძანება №01-06 723 2021 წლის 14 ივლისი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფელ ქაქუთში მცხოვრებ მოქალაქე დიანა მუკუტაძეს (პ/ნ 26001035375)
7109	ბრძანება №01-06 731 2021 წლის 14 ივლისი	ერთჯერადი დახმარება	1 250,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, რუსთაველის ქ. №162 ვ-ში მცხოვრებ

				მოქალაქე ლამარა გოგიტიძეს (პ/ნ 61004001913)
7109	ბრძანება №01-06 750 2021 წლის 20 ივლისი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო მოქალაქე ჯამბულ დუმბაძეს (პ/ნ 61004025209) ბიძის მოქალაქე დავით მემარნისთვის (პ/ნ 61004013571) ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 797 2021 წლის 05 აგვისტო დაბრძანება: ბ114.114213584 2021 წლის 27 დეკემბრის	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	108 400,00	თანხა გამოეყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ 61 ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 957 2021 წლის 07 სექტემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	9 834,00	თანხა გამოეყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ 5 ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფის მიზნით. გელა კახიძეს (პ/ნ 61004029061), ნოდარ შაინიძეს (პ/ნ 61004013433), მამია ცინცაძეს (პ/ნ 61005007474), ოთარ მახარაძეს (პ/ნ 61004011134) და ზემინარ ტარიელაძეს (პ/ნ 61004040143)
7109	ბრძანება №01-06 1031 2021 წლის 17 სექტემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	16 797,01	თანხა გამოეყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახისათვის ამხანაგობა "ასი" თავ-რე გურამ გოგიტიძე (პ/ნ 61004019226), ლია კურტანიძე (პ/ნ 0103002284) იური შიშკოვი (პ/ნ 61004019564) მიხეილ კაჭახმაძე (პ/ნ 61005004429) და ალიკო ცეცხლაძე (პ/ნ 61004038014)

7109	ბრძანება №01-06 1056 2021 წლის 23 სექტემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	1 000,00	თანხა გამოეყო ქობულეთი, სოფ. გვარაში მცხოვრებ მოქალაქე ნათია კუციას პ/ნ 61004064647 სტიქიის (ხანძარი) შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 1082 2 29 სექტემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	2 229,11	თანხა გამოეყო მანა გოგიბერიძეს (პ/ნ 61004007675), მადონა გოგიტიძეს (პ/ნ 61004019527) და ზაურ კახიძეს (პ/ნ 61004001993) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 1121 2021 წლის 07 ოქტომბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	3 100,00	
7109	ბრძანება №01-06 1163 2021 წლის 22 ოქტომბერი	ერთჯერადი დახმარება	1 800,00	თანხა გამოეყო ალიონა მელიასლანოვას (პ/ნ 6100453245),
7109	ბრძანება №01-06 1236 2021 წლის 05 ნოემბერი და ბრძანება: ბ114.114213583 2021 წლის 27 დეკემბრის	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	44 900,00	თანხა გამოეყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ 46 ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 1269 2021 წლის 19 ნოემბერი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქობულეთში კოსტავას ქ. N32-ში მცხოვრებ ავთანდილ ტაკიძეს პ/ნ 61004005115
7109	ბრძანება №01-06 1271 2021 წლის 11 ნოემბერი	ერთჯერადი დახმარება	1 000,00	დაბა ჩაქვში მცხოვრებ აჭარის ქ. N41-ში რამაზ ბერიძეს პ/ნ 61005004567
7109	ბრძანება №01-06 1314 2021 წლის 19 ნოემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული	8 177,58	თანხა გამოეყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ

		ოჯახის დახმარება		4 ოჯახს
7109	ბრძანება №01-06 1319 2021 წლის 22 ნოემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	81 269,60	თანხა გამოეყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ 20 ოჯახს
7109	ბრძანება №01-06 1330 2021 წლის 24 ნოემბერი	ერთჯერადი დახმარება	400,00	თანხა გამოეყო სოფელ ქვედა აჭყვაში მცხოვრებ გოჩა თავართქილაძეს კ/ნ 61005007455
7109	ბრძანება №01-06 1346 2021 წლის 29 ნოემბერი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო დაბა ოჩხამურში მცხოვრებ მიხეილ ქათამაძეს კ/ნ61004039918
7109	ბრძანება №01-06 1352 2021 წლის 29 ნოემბერი	ერთჯერადი დახმარება	1 000,00	თანხა გამოეყო სოფ.ციხისძირში მცხოვრებ გოგიტა კონცელიძეს კ/ნ61005006968
7109	ბრძანება №01-06 1348 2021 წლის 29 ნოემბერი	ერთჯერადი დახმარება	600,00	თანხა გამოეყო რუსთაველის ქუჩ 140 გმცხოვრებ ლადო კეკელიძეს კ/ნ 61004021208
7109	ბრძანება №01-06 1353 2021 წლის 29 ნოემბერი	ერთჯერადი დახმარება	600,00	თანხა გამოეყო ზედა კვირიკეში მცხოვრებ ციცინო ცეცხლაძეს კ/ნ 61004030366
7109	ბრძანება №01-06 1368 2021 წლის 01 დეკემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	21 900,00	თანხა გამოეყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ 35 ოჯახს დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფის მიზნით.
7109	ბრძანება №01-06 1371 2021 წლის 01 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო დაბა ჩაქვეში მცხოვრებ მურად თურმანიძეს კ/ნ 61005004666
7109	ბრძანება №01-06 1372 2021 წლის 01 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	165,00	თანხა გამოეყო მუხანესტატეში მცხოვრებ შუმანა მჟავანაძეს კ/ნ61004013850
7109	ბრძანება №01-06 1380 2021 წლის 01 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა გამოეყო ოჩხამურში მცხოვრებ ნინო აბაშიძეს კ/ნ61004047963

7109	ბრძანება: ბ114.114213422 2021 წლის 09 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	1 500,00	თანხა გამოეყო აჭყვისთავში მცხოვრებ ინგა ბერიძეს კ/ნ 61004019780
7109	ბრძანება: ბ114.114213423 2021 წლის 08 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	3 000,00	თანხა გამოეყო აჭყვისთავში მცხოვრებ ნუგზარ ბალაძეს კ/ნ61004018952
7109	ბრძანება: ბ114.114213444 2021 წლის 08 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	1 000,00	თანხა გამოეყო სოფ.ალამბარში მცხოვრებ მადონა გოგიტიძეს კ/ნ 61004043409
7109	ბრძანება: ბ114.114213443 2021 წლის 10 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო ქ.ქობულეთში ქიაჩელის ქ.№1-ში მცხოვრებ მინდია ბალაძეს კ/ნ 61004004357
7109	ბრძანება: ბ114.1142134810 2021 წლის 14 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	200,00	ქალაქ ქობულეთში კომახიძის ქ. N32 ში მცხოვრებ ნატო კენჭაძეს
7109	ბრძანება: ბ114.1142134811 2021 წლის 14 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	100,00	სოფელ ქობულეთში მცხოვრებ გვრიტუნა ჯაფარიძეს კ/ნ 61004025244
7109	ბრძანება: ბ114.1142134812 2021 წლის 14 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	100,00	სოფელ ქობულეთში მცხოვრებ მალხაზ ბათნიძეს კ/ნ 61004016392
7109	ბრძანება: ბ114.114213486 2021 წლის 14 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო სოფელ ლელვაში მცხოვრებ თამაზ ტაკიძეს კ/ნ 61004057357
7109	ბრძანება: ბ114.1142134813 2021 წლის 14 დეკემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	39 660,13	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარების მიზნით
7109	ბრძანება: ბ114.114213495 2021 წლის 15 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა გამოეყო ხუცუბანში მცხოვრებ ლიანა ცეცხლაძეს 61004045922
7109	ბრძანება: ბ114.114213496 2021 წლის 15 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	300,00	თანხა გამოეყო სოფელ ციხისძირში მცხოვრები როლანდ შაინიძეს კ/ნ 61005006925
7109	ბრძანება: ბ114.114213497 2021 წლის 15 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	600,00	თანხა გამოეყო დაბა ოჩხამურში მცხოვრებ ნაირა ფუტყარაძეს კ/ნ 61004057472
7109	ბრძანება: ბ114.114213498 2021 წლის 15 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა გამოეყო სოფელ გვარაში მცხოვრებ მამუკა ბაჯელიძეს კ/ნ 61004005678

7109	ბრძანება: ბ114.114213499 2021 წლის 15 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	408,00	თანხა გამოეყო სოფელ მუხაესტატეში მცხოვრებ ზაურ მესხიძეს პ/ნ 61004017832
7109	ბრძანება: ბ114.1142134910 2021 წლის 15 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	850,00	თანხა გამოეყო სოფელ კვირიკეში მცხოვრებ თამაზ ხარაზს პ/ნ 61004026209
7109	ბრძანება: ბ114.114213502 2021 წლის 16 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო სოფელ ოჩხამურში მცხოვრებ მარინა ემირიძეს პ/ნ 61004018935
7109	ბრძანება: ბ114.114213503 2021 წლის 16 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა გამოეყო სოფელ ქობულეთში მცხოვრებ რომან ბაუჟაძეს პ/ნ 6100404126
7109	ბრძანება: ბ114.114213504 2021 წლის 16 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა გამოეყო სოფელ სახალვაშოში მცხოვრებ მურად კონცელიძეს პ/ნ 61004027369
7109	ბრძანება:ბ114.1142134913 2021 წლის 15 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	2 000,00	თანხა გამოეყო ქ.ქობულეთის თავისუფლების ქ 8 მცხოვრებ დავით ბარამიძეს პ/ნ61004046409
7109	ბრძანება:ბ114.1142134911 2021 წლის 15 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	5 000,00	თანხა გამოეყო ოჩხამურში მცხოვრებ ნოდარ შაინიძეს პ/ნ 61004023200
7109	ბრძანება: ბ114.114213518 2021 წლის 17 დეკემბერი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	21 198,60	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (5 ოჯახი) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარების მიზნით
7109	ბრძანება:ბ114.114213514 2021 წლის 17 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა გამოეყო ქ.ქობულეთი, სოფ.ხუცუბანში მცხოვრებ მოქალაქე მადონა ყარმაზანაშვილის (პირ.№16001020252) ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის მიზნით
7109	ბრძანება:ბ114.114213516 2021 წლის 17 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	150,00	თანხა ჩაირიცხოს ქ.ქობულეთი, ს.კვირიკეში მცხოვრები მოქალაქე იზოლდა მახარაძის (პირ.№61004024086) პირად საბანკო ანგარიშზე

				21 0711105054364540 ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის მიზნით.
7109	ბრძანება:ბ114.114213517 2021 წლის 17 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა გამოეყო ქ.ქობულეთი, სოფ. კვირიკეში მცხოვრები მოქალაქე გიორგი შაინიძის (პირ.№61004026709) მეუღლეს თინა შაინიძის (პირ №61004026690) ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის მიზნით
7109	ბრძანება:ბ114.114213541 2021 წლის 20 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	300,00	თანხა გამოეყო ქობულეთში კომახიძის N100 მცხოვრებ მზევინარ ცივაძეს პ/ ნ 61404078511 ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის მიზნით.
7109	ბრძანება:ბ114.114213543 2021 წლის 20 დეკემბერი	ერთჯერადი დახმარება	400,00	თანხა გამოეყო ქობულეთში სოფელ ხუცუბანში მცხოვრებ ლევან მჟავანაძეს პ/ნ 61004009750 ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის მიზნით.
7109	ბრძანება: ბ114.114213544 2021 წლის 20 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	1 000,00	თანხა გამოეყო ქობულეთში სოფელ ნაკაიძეებში მცხოვრებ გურამ აბაშიძეს პ/ნ 61004015275
7109	ბრძანება: ბ114.114213545 2021 წლის 20 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა გამოეყო ქობულეთში მეგობრობის ქუჩა 11 ში მცხოვრებ ლელა ფხაკაძეს პ/ნ 61004002936
7109	ბრძანება: ბ114.114213546 2021 წლის 20 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	400,00	თანხა გამოეყო სოფელ ხუცუბანში მცხოვრებ ირინე ბოლქვაძეს პ/ნ 61006064180
7109	ბრძანება: ბ114.114213547 2021 წლის 20 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	400,00	თანხა გამოეყო სოფელ ბუკნარში მცხოვრებ გიორგი დავითაძეს პ/ნ 61004049652
7109	ბრძანება: ბ114.114213548 2021 წლის 20 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	2 000,00	თანხა გამოეყო ქ.ქობულეთში აღმაშენებლის შესახვევი

				4-ში მცხოვრებ მამუკა დეკანაძეს პ/ნ 61004042679
7109	ბრძანება: ბ114.114213549 2021 წლის 20 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	300,00	თანხა გამოეყო სოფელ კონდიდში მცხოვრებ ინგა მოწყობილს პ/ნ 61004036917
7109	ბრძანება: ბ114.1142135411 2021 წლის 20 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	400,00	თანხა გამოეყო სოფელ შუაღელეში მცხოვრებ მალვინა ბაუჭაძეს პ/ნ 61004058586
7109	ბრძანება: ბ114.114213554 2021 წლის 21 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	600,00	თანხა გამოეყო სოფელ ხუცუბანში მცხოვრებ გუგული კონცელიძეს პ/ნ 61004020944
7109	ბრძანება: ბ114.114213555 2021 წლის 21 დეკემბრის	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება	4 400,00	თანხა გამოეყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით
7109	ბრძანება: ბ114.114213561 2021 წლის 22 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	500,00	თანხა ჩაირიცხოს ქ.ქობულეთი, დაღმაშენებლის გამზ. № 804-ში მცხოვრები მოქალაქე მერი ანთაძის (პირ.№61004048161)
7109	ბრძანება: ბ114.114213562 2021 წლის 22 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა ჩაირიცხოს ქ.ქობულეთი, ივ.ჯავახიშვილის ქ. 51-ში მცხოვრები მოქალაქე მადონა გოგეშვილის (პირ.№61004025591)
7109	ბრძანება: ბ114.114213566 2021 წლის 22 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	800,00	თანხა გამოეყო 8 მოქალაქეს
7109	ბრძანება: ბ114.114213571 2021 წლის 23 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	200,00	თანხა გამოეყო ქობულეთში სოფელ ლეღვაში მცხოვრებ სოლომონ შაინიძეს პ/ნ 61004036809
7109	ბრძანება: ბ114.114213572 2021 წლის 23 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	700,00	თანხა ჩაირიცხოს ქობულეთში სოფელ გვარაში მცხოვრებ იამზე პაპუნაიშვილის პ/ნ 61004044033
7109	ბრძანება: ბ114.114213617 2021 წლის 23 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	400,00	2.თანხა ჩაირიცხოს ქ.ქობულეთი, დ. ჩაქვი აჭარის ქ. 171-ში მცხოვრები მოქალაქე რამაზ დარჩიძის (პირ.№

				61004057622)
7109	ბრძანება: ბ114.1142136110 2021 წლის 27 დეკემბრის	ერთჯერადი დახმარება	300,00	თანხა გამოეყო ქობულეთში თავისუფლების ქ. 19 ში მცხოვრებ მანანა სურმანიძეს პ/ ნ 61009023641



თავდაცვის სფეროს მოხმარება 121634 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 0,27%, წლიური დაგეგმილი თანხების ათვისებამ შეადგინა დაგეგმილი თანხების 95,2%.



ეკონომიკური საქმიანობის სფეროში

გახარჯულია 6 109703 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 13,76 %, საბიუჯეტო თანხების ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 70 პროცენტი. აღნიშნულ სფეროში ხარჯების მთლიანი ოდენობა შეადგინა საგზაო სფეროს ხარჯებმა მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ინფრასტრუქტურულმა ღონისძიებებმა. კერძოდ განხორციელდა ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორცაა:

- **ქალაქ ქობულეთში, ყოფილი სასტუმრო „კოლხეთი“-ს მიმდებარედ ზღვაზე გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით დაიხარჯა 68357 ლარი.** განხორციელდა ქ. ქობულეთში დაღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპიროზე საფეხმავლო გადასასვლელი დეკორატიული ფილებით. დამონტაჟდა განათება, განთავსდა საპარკე სკამები და დეკორატიული ურნები.
- **ქალაქ ქობულეთში, ვერულიძის ქუჩის კეთილმოწყობა** - პროექტის განხორციელებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 260498 ლარით, საკასო ხარჯი განისაზღვრა 238343 ლარი; პროექტის ფარგლებში გზის სავალ ნაწილზე (160გრ.მ) მოეწყო ასფალტო ბეტონის საფარი, მოეწყო განათება და მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები. მოეწყო ტროტუარები.
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, ბეჟანიძის ქუჩის რეაბილიტაცია** პროექტის განხორციელებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 355330 ლარი. სამუშაოების განსახორციელებლად დაიხარჯა 283995 ლარი. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, ტროტუარები და გზის სავალი ნაწილი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით.
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაცდელის მოწყობა/რეაბილიტაციის** მიზნით გათვალისწინებული იყო 70827 ლარი. დაიხარჯა 65166 ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (წყავროკა - ნოღაიდლები, მემარნეები, ზედა სამება კახიძეები, აჭყვისთავი გოგიტიძეების შესახვევი, ციხისძირი მეგობრობის შესახვევი, ლელვა წულუკიძეების მიმართულება, ლელვა ზედა ლელვას დამაკავშირებელი გზა, ჩაისუბანი გასამანია, ჩაისუბანი დუმბაძეების ასახვევი, მოსაცდელი კინტრიშის ხიდთან რეაბილიტაცია, წყავროკაში არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია, მუხაესტატეში არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია)

გაჩერებებზე მოეწყო ახალი და არსებულ მოსაცდელებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია სულ 11 ერთეული.

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაცდელების მოწყობის** სამუშაოებისათვის ბიუჯეტით გამოიყო სულ 53570ლარი; ამ მიზნით დაიხარჯა 51229 ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფელი ქობულეთი - ყელის ასასვლელთან; გელაური საბავშვო ბაღის შესახვევი; ლელვა ჯამეს შესახვევი; ლელვა ცენტრალური გზა ზაქარიადების ასახვევი; ხუცუბანი მაგული ჯინჭარაძის სახლის მიმდებარედ; გელაური კაიკაციშვილის და თხილაიშვილის კვეთა; აჭყვისთავი სახარია; ჩაქვი რკინიგზის სადგური მოპირდაპირედ; მუხაესტატი ცენტრალური გზა თამროს უბნის გადასახვევი; ციხისძირი- მე-3 ბრიგადის ფარდულთან; ციხისძირი - როინი ზაქარიადის მიმართულებით; ქაქუთი - დათო ქარცივაძე-(საქორია)) გაჩერებებზე მოეწყო აგურის მოსაცდელები (სულ ჯამში 12 ერთეული).
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის** მოწყობისათვის გათვალისწინებული იყო 2765298 ლარი. სკასო ხარჯმა შეადგინა 2 146 383 ლარი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზებზე მოეწყო 102900 მ²-მდე ბეტონის საფარი. ხოლო გეგმით გათვალისწინებული ნაწილი სამუშაოებისა ვერ დასრულდა „ამიტომ გათვალისწინებული იქნა 2022 წლის ბიუჯეტში დასრულების მიზნით.
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოები** გათვალისწინებული იყო თანხით 4200000 ლარით.ფაქტიურად დაიხარჯა 2311111 ლარი.წლიური დაგეგმილი ოდენობის 55%.პროექტით როგორც ცნობილია გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარება.2022წლის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის მიერ გათვალისწინებული იქნა 2021 წლის აუთვისებელი პროექტების დასრულებისათვის საჭირო თანხები 1476100 ლარის ოდენობით.
- **საყანე ფართობში სადარაჯო ფარდულების (ორი ერთეული) მოწყობის მიზნით** გათვალისწინებული იყო 16642 ლარი.დაიხარჯა 15531 ლარი.
- **ვიდეოკამერების ექსპლოატაცია დაიგეგმა 77874 ლარით.გახარჯულია 77874 ლარი.**
- **ზამთარში ძლიერი შტორმის შედეგად მდინარეები კალაპოტს იცვლიან და სანაპიროს ტერიტორია ზიანდება მდინარე კინტრიშის, დეხვას და აჭყვას შესართავთან ტერიტორიის მოსაწესრიგებლად და მდინარის კალაპოტების გასწორზაზოვნების სამუშაოების განსახორციელებლად 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო სულ 35000 ლარი.ფაქტიურად დაიხარჯა 27440 ლარი.**



გარემოს დაცვის ღონისძიებებს სულ ფაქტიურად მოხმარდა 3264954 ლარი მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 7,35 პროცენტი, წლიური დაგეგმილი თანხების ათვისება შეადგენს 96,2 %.

❖ **სფეროს ინფრასტრუქტურული პროექტები**

- **ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი 431644 ლარიდან დაიხარჯა 400 000 ლარი. როგორც ცნობილია გარდამავალი 2021-2022წლების პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ფიჭვნარში დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, შეიცვალოს 500 მ-იანი ცენტრალური საკანალიზაციო ხაზი დ- 800 მაღალი წნევის მილით,**

რომლის დაკავშირება მოხდება №3 გადამქაჩ სადგურთან.სამუსაოები უნდა გაგრძელდეს 2022წელში,რისთვისაც გამოყოფილია 2022წლის ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხები.

- **ქ. ქობულეთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში ახალი ცენტრალური საკანალიზაციო ხაზის მოწყობის მიზნით კერძოდ:** (ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №156-ში, ერულიძის №5-ში, თავისუფლების №15, რუსთაველის №164, აბაშიძის ქუჩა №16, რუსთაველის №215, კომახიძის №100) გათვალისწინებული საკანალიზაციო მაგისტრალური სისტემის მოწყობა/რეაბილიტაციის მიზნით გამოყოფილი 90008 ლარიდან გაიხარჯა 67018 ლარი;
- **მუნიციპალიტეტში არსებული №2 საკანალიზაციო სატუმბი სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული 160000 ლარიდან ხარჯმა შეადგინა 117657 ლარი.**

❖ **სფეროს სხვა დანარჩენი ღონისძიებები**

- **აღნიშნული სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სანიტარული დასუფთავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს(80%), მ/შორის:**
 - ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავების ფუნქციონირების** ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებსაც; ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავების მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის ,ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება;სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, საყოფაცხოვრებლო ნარჩენების გატანა. ამ მიზნით სულ გაიხარჯა 2 630 279 ლარი;(აიპისათვის გათვალისწინებული წლიური გეგმის 98,8%).
- **დასუფთავების ღონისძიებები** განხორციელებისათვის წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 50000 ლარი. წლის განმავლობაში განხორციელდა მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის მიზნით დაჭერილი ცხოველების, სტერილიზაცია ვაქცინაცია, დაბირკვა .რისთვისაც გაიხარჯა 50000 ლარი; (100%)

◆ **საბინაო და კომუნალური სფეროს ღონისძიებების სახით** სულ გახარჯულია **15 839 503** ლარი ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 35,68 პროცენტი, ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმის ათვისება შეადგენს აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 82,1 პროცენტს. სფეროს ხარჯები ძირითადად მოიცავს კომუნალური სფეროს , წყალმომარაგების, გარე განათების ხარჯებს.

▪ **კომუნალური მეურნეობის განვითარება**
(სულ დაიხარჯა საბინაო-კომუნალური სფეროს 55,5%)

❖ **მ/შორის : მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და ეზოების მოწყობა**

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის მიზნით დაგეგმილი იყო მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების დემონტაჟი, ახალი ხე მასალათი მოწყობა, ასევე სახურავები შეიცვლებოდაა ფერადი თუნუქით. (დაბა ოჩხამურში და დაბა ჩაქვში გადაიხურა 24 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი)ბიუჯეტით გათვალისწინებული 1 300 000 ლარიდან დაიხარჯა 956128 ლარი.**

- **ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჩაის ფაბრიკის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობის ღონისძიება გარდამავალი 2020-2021 წლის პროექტია.** აღნიშნული პროექტი გარდამავალი 2020 წლის პროექტია და მიმდინარე წელს გათვალისწინებული იყო დასრულება. პროექტი დასრულდა და ამ მიზნით დაიხარჯა 1008254 ლარი, წლიური დაგეგმილი თანხის 99,9 %.სულ პროექტის განხორციელებისათვის ჯამურად დაიხარჯა 1245870ლარი. მოწესრიგდა სანიაღრე სისტემა, მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, მოეწყო მწვანე ზოლი, შეიცვალა გარე განათების სისტემა,განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, საპარკე სკამები და ურნები.
- **ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის აღნიშნული პროექტი გარდამავალი 2020-2021 წწ პროექტია და მისი დასრულება 2021წ. სათვის იყო გათვალისწინებული.პროექტი დასრულდა და 2021წელს დაიხარჯა 241134 ლარი.სულ პროექტზე ჯამურად დახარჯულია389632 ლარი.პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა სანიაღრე სისტემა, დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო მწვანე ზოლი, შეიცვალა გარე განათების სისტემა, განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, საპარკე სკამები და სანაგვე ურნები.**
- **ქალაქ ქობულეთში, ჩოლოქის დასახლებაში ხულოს ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების/სკვერის კეთილმოწყობა დაგეგმილი იყო თანხით 1 140 174 ლარი.წლის განმავლობაში დაიხარჯა 681461 ლარი გეგმის 59,8%. პროექტის დასრულებაზე აღებული აქვს ვალდებულება მუნიციპალიტეტს,გათვალისწინებულია 2022წელში და დაგეგმილია დასრულება. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდება მიწისქვეშა კომუნიკაციები. გზის სავალ ნაწილზე მოეწყობა ასფ/ბეტონის საფარი, ტროტუარები და მწვანე საფარი. განთავსდება სკამები, ურნები, ფანჩატური. დამონტაჟდება ტრენაჟორები და საბავშვო ატრაქციონები, ასევე მოეწყობა გარე განათების სისტემა და მინი სპორტული მოედანი.**
- **ქალაქ ქობულეთში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (140გ, 140ე, 140დ) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა დაგეგმილი იყო თანხით 300000ლარი.დაიხარჯა 123633ლარი (41,2%) .პროექტი თავიდანვე მრავალწლიანი პროექტი იყო და დასრულდება 2022წელში. ხოლო 2021 წლის აუთვისებელი თანხაზე მუნიციპალიტეტს აღებული აქვს ვალდებულება ,შესაბამისად 2021წლის დაფინანსების გათვალისწინებით გაიზარდა აღნიშნულ პროექტზე 2022წლის საპროგნოზო მოცულობა. პროექტის ფარგლებში მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები დეკორატიული ფილებით,დამონტაჟდება ტრენაჟორები. განთავსდება სკამები და ურნები, ასევე მოწესრიგდება მიწისქვეშა კომუნიკაციები. დამონტაჟდება გარე განათების სისტემა**
- **ქალაქ ქობულეთში რუსთაველის ქუჩაზე (№162) და კომახიძის ქუჩაზე (№15 და №17) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებული იყო 300000 ლარი. დაიხარჯა 300000ლარი (100%) . პროექტი თავიდანვე მრავალწლიანი პროექტი იყო და დასრულდება 2022წელში. პროექტის ფარგლებში მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები დეკორატიული ფილებით, დამონტაჟდება ტრენაჟორები. განთავსდება სკამები და ურნები, ასევე მოწესრიგდება მიწისქვეშა კომუნიკაციები. დამონტაჟდება გარე განათების სისტემა**
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში თამარ მეფის ქუჩა №1 და №3 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა 81256 ლარი (გეგმის 50,4%) დაბა ჩაქვში თამარ მეფის ქუჩა №1 და №3 ეზოს/სკვერის კეთილმოწყობის ფარგლებში მოხდა სანიაღვრე სისტემის მოწყობა, სავალი ნაწილის ფილებით მოპირკეთება, ასევე მოეწყო მწვანე ზოლი, დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები, სკვერში განთავსდა სკამები, ურნები. მოეწყო გარე განათების სისტემა.**
- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში თამარ მეფის ქუჩა №5 და №5 ა მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის დაიხარჯა**

102049 ლარი (გეგმის 44,8%) პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, ტერიტორია მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, სავალ ნაწილზე მოეწყობა ა/ბეტონის საფარი. ასევე მოეწყობა მწვანე ზოლი. დამონტაჟდება ატრაქციონები, ფანჩატური, სასმელი წყლის სოკო. ტერიტორიაზე განთავსდება დეკორატიული სკამები და ურნები.

❖ მ/შორის სკვერებისა და პარკების მოწყობა

- **ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის (II ეტაპი)** გარდამავალი პროექტი 2020-2021 წწ ების პროექტია. 2021წელში ამ მიზნით დაიხარჯა 2680041 ლარი. (გეგმის 99,2%) . ქალაქ ქობულეთში ზღვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის პროექტის II ეტაპის ფარგლებში მოეწყო ბულვარი 1000 გრძ.მ. სადაც დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა სასაფარი ზოლი და სავალი ნაწილი, მოეწყო ველო ბილიკები, გაშენდა მწვანე ზოლი, დამონტაჟდა ახალი განათების სისტემა, განთავსდა საბავშვო ატრაქციონები და სპორტული ტრენაჟორები. პროექტი ადაპტირებული იქნა შშმ პირებისათვის.
- **ქალაქ ქობულეთში, ვერულიძის ქუჩის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობა** - პროექტის განხორციელებაზე დაიხარჯა 204973 ლარი (გეგმის 99,3%) განხორციელდა არსებული ძველი სკვერის სრული რეაბილიტაცია: მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, გამოიცვალა დეკორატიული ფილები, მოეწყო გარე განათება, ფანჩატური, სკვერში განთავსდა დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები, მოეწყო სასმელი წყლის სოკო, დამონტაჟდა ტრენაჟორები და ატრაქციონები, ასევე მოეწყო მცირე ზომის საბავშვო სპორტული მოედანი. სკვერი შემოიღობა.
- **ქალაქ ქობულეთში, გურამიშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის** სამუშაოებისათვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 142264 ლარი , ფაქტიურად დაიხარჯა 71490 ლარი (გეგმის 50,3%) ღონისძიება დასრულებულია, ხოლო დაფინანსება დასრულდება 2022წელში თანხით 41229 ლარი. მოპირკეთდა სასაფარი ბილიკები, მოეწყო მწვანე ზოლი, განთავსდა საპარკე ინვენტარი სკამები, სანაგვე ურნები, დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები, ფანჩატური. მოეწყო განათების სისტემები.
- **ქალაქ ქობულეთში, კომახიძის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები** პროექტის ღირებულება განისაზღვრა 159527 ლარით. ფაქტიურად დაიხარჯა 132126 ლარი. (გეგმის 82,8%) პროექტის ფარგლებში ტერიტორია მოეწყო ფილებით, ბორდიურით, სანიაღვრე სისტემა, გარე განათების ქსელი, ბალახის საფარი. ასევე კაუჩუკის საფარიან მოედანზე საბავშვო ატრაქციონები და ტრენაჟორები დამონტაჟდა. მოეწყო ფანჩატური და საპარკე ინფრასტრუქტურა. აგრეთვე მოეწყო მინი სპორტული მოედანი.
- **ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის №215-ში სკვერის მოწყობის** სამუშაოებისათვის დაგეგმილი იყო 165426 ლარი, დაიხარჯა 43974 ლარი (გეგმის 26,6%) ღონისძიება დასრულებულია, ხოლო დაფინანსება დასრულდება 2022წელში თანხით 94831 ლარი. პროექტის ფარგლებში ტერიტორია შემოიღობა, მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, მოეწყო მწვანე ზოლი, სკვერში განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, ტრენაჟორები, საპარკე სკამები და სანაგვე ურნები. მოეწყო ფანჩატური და დამონტაჟდა გარე განათება.
- **ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის №280-ის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობის** სამუშაოებისათვის დაიხარჯა 206234 ლარი , წლიური დაგეგმილი თანხის 84,6%. პროექტის მიხედვით სკვერი კეთილმოეწყო დეკორატიული ფილებით, დეკორატიული მცენარეებით, მწვანე ზოლითა და გარე განათებით. ტერიტორია შემოიღობა, მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა. დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები და ტრენაჟორები, მოეწყო ფანჩატური, სკამები, ურნები.
- **ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის №99-ში სკვერის მოწყობის** სამუშაოებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმის 86,7% დაიხარჯა ანუ 43439 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სკვერის მოწყობის შემდეგი სამუშაოები: ბილიკი დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა, დამონტაჟდა გარე განათების სისტემა . მოეწყო მინი სპორტული მოედანი.

➤ ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე ეკლესიის მიმდებარედ სკვერის მოწყობა ის განხორციელებისათვის ბიუჯეტმა დახარჯა 43439 ლარი წლიური დაგეგმილი თანხის 84,6% პროექტის ფარგლებში სკვერი კეთილმოეწყო დეკორატიული ფილების ბილიკებით, მწვანე ზოლითა და გარე განათებით. განთავსდა საპარკე სკამები და სანაგვე ურნები.

➤ დაბა ჩაქვში, ბუკნარის ცენტრში სკვერის მოწყობის ღონისძიების ფარგლებში დაიხარჯა 409608 ლარი. წლიური გეგმის 82,2%. განხორციელდა არსებული კედლისა და წყლის ავზის მოპირკეთების სამუშაოები. განთავსდა სკამები და ურნები, მოეწყო გამწვანება. დამონტაჟდა სავარჯიშო ტრენაჟორები და გარე განათების სისტემა. ავტოსადგომზე მოეწყო ასფ/ბეტონის საფარი.

❖ მ/შორის. სასოფლო-ცენტრების კეთილმოწყობა

➤ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეს ცენტრის კეთილმოწყობისათვის ბიუჯეტით დაიგეგმა 299606 ლარი, დაიხარჯა 139306 ლარი (46,5%) პროექტის 2021 წლის შესასრულებელ სამუშაოების დაფინანსება დასრულდება 2022 წელში. შესაბამისად 2021 წლის დაფინანსების გათვალისწინებით აღნიშნულ პროექტზე 2022 წლის ბიუჯეტში მოხდა გათვალისწინება თანხით 106590 ლარი.

